

თარგმანთმცოდნეობითი საკითხები ბრიტნულ-ქართულ ურთიერთობაში ილია
ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ უორდროპისეული

თარგმანის საფუძველზე

„ქართული ენა შესანიშნავად ემორჩილება რიტმსა და რითმს, ეს მელექსეთა ენაა“...

„საქართველოს უმთავრესი მიმზიდველი ძალა არის ქართველების ღირსება! ქართველი მარტო სახით კი არ არის სასიამოვნო სანახავი, ეს ხალხი მართლა საყვარელი რამ ხალხია... ვისაც უნდა გულიდან გადაიყაროს ჯავრი, დაღვრემილება, მელანქოლია და მიზანთროპია, იმაზე უკეთეს წამალს ვერ იშოვნის, რომ წავიდეს და იცხოვროს ამ მხიარულ, გულგახსნილ, ხელგამლილ, პატიოსან და უშუალო ხალხს შორის!“

„როდესაც სტუმართმოყვარეობას ვამბობ, ამ სიტყვას ისე კი არ ვხმარობ, როგორც საზოგადოდ არის მიღებული. ქართველი კაცი ისე თავაზიანად და ისეთი სიყვარულით ეკიდება თავის სტუმარს, რომ ევროპელთ არც კი დაგვესიზმრება.“ - წერს ოლივერ უორდროპი საქართველოზე.

- და ვინ იყვნენ უორდროპები?!

მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველოში ალბათ, არ მოიძებნებოდა ადამიანი, რომ არაფერი ჰქონოდა გაგებული შოტლანდიური გვარის, უორდროპების, შესახებ. ახალგაზრდა დიპლომატი ჯონ ოლივერ უორდროპი და მისი და , მარჯორი, საქართველოს ხშირად სტუმრობდნენ და თუ არ სტუმრობდნენ, მომიწერა ჰქონდათ ყველაზე დიდ ქართველ ავტორიტეტებთან - ჭავჭავაძეებთან, ნიკოლაძეებთან, ყიფიანებთან, გურამიშვილებთან, ჯორჯაძეებთან და სხვებთან... ბოლოს კი ისე მოხდა, რომ და-მმისა და საქართველოს ბედი მჭიდროდ დაუავშირდა ერთმანეთს.

ჯონ ოლივერ უორდროპი ბრიტანელი დიპლომატი, მოგზაური და მთარგმნელი, გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში, დაიბადა 1864 წელს. ოლივერ უორდროპმა განათლება ოქსფორდში მიიღო. იგი ახალგაზრდობიდანვე მოგზაურობით ყოფილა გატაცებული. მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და ერთ-ერთი მოგზაურობის დროს , 1887 წელს, პირველად დადგა ფეხი საქართველოს მიწაზე, თითქმის ყველა კუთხეს ეწვია . იგი დაუახლოვდა თავის მასპინძლებს ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს. შთაბეჭდილებებით აღსავსე ოლივერ უორდროპს ინგლისში დაბრუნებისთანავე დაუწერია წიგნი „საქართველოს სამეფო“, ეგზოტიკური

სათაურით - „მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ქალების, ღვინისა და სიმღერების ქვეყანაში“, რომელიც ლონდონში 1888 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა.

1892 წელს ოლივერ უორდროპი დაინიშნა ბრიტანეთის ელჩის პირველ მდივნად პეტერბურგში. მიუხედავად სამსახურებრივი დატვირთვისა მისი ინტერესი საქართველოსადმი არ განელეებულა. მას თავისი და - მარჯორი ეხმარებოდა, რომელიც თან ახლდა ძმას სხვადასხვა საკონსულო ადგილებში. მარჯორი დაინტერესდა საქართველოთი და 1880-იანი წლების ბოლოს დამოუკიდებლად დაიწყო ქართული ენის შესწავლა მარი ბროსეს პარიზში გამოცემული წიგნის "ქართული ენის თვითმასწავლისა" და სახარების ქართული თარგმანის მეშვეობით. მარჯორიმ ქართული ენის შესწავლის შემდეგ 1894 წელს თარგმნა და გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრების კრებული მარჯორისეული და სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ ოლივერისეულის ინგლისური თარგმანები.

როგორც აღვნიშნეთ, ოლივერს ხელმეორედ მოუწია გამომგზავრება საქართველოში. ბათუმიდან ოლივერის დეპეშის მიღების შემდეგ, მარჯორის კვლავ აღედრა დაუოკებელი სურვილი საქართველოში ჩამოსვლისა. საპასუხო ბარათში ის ძმას წერდა: „არ ვიცი რატომ არის, რომ საქართველოს გარდა ვერაფერზე ვფიქრობ და ვლაპარაკობ!... ძალიან მიხარია, რომ შენ იქ ხარ, მაგრამ ეჰ, რა იქნებოდა მეც რომ შენთან ვყოფილიყავი“...

გასაოცარია, 1894 წელს ილია ჭავჭავაძეს 24 წლის მარჯორი თითქმის სრულყოფილი ქართულით წერს წერილს და უკვე ნათარგმნი „განდეგულის“ ინგლისურად გამოცემის ნებართვას სთხოვს. ილიამ მარჯორის წერილი მაშინვე აიტაცა და გამოსცა გაზეთ „ივერიაში“. მან ეს ამბავი მთელს საზოგადოებას მოსდო. მე-19 საუკუნეში უცხოელის მიერ ქართული ენის ცოდნა დიდი ამბავი იყო. მარჯორი საქართველოზე მის უნახავად შეყვარებული გახლდათ და ერთი სული ჰქონდ როდის დადგამდა ფეხს საქართველოს მიწაზე.

მარჯორი უორდროპი ილიას „განდეგულისა“ და სხვა ნაწარმოებების თარგმნის შემდეგ თავის ძმასთან ერთად ძველი ქართული სასულიერო მწერლობის უბრწყინვალესი ძეგლის „წმინდა ნინოს ცხოვრების“ თარგმნას შეუდგა, რომელიც 1896 წლის ზაფხულისათვის დაასრულა კიდეც.

მარჯორი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც მთარგმნელი და მისი „ვეფხისტყაოსანიც“ დღემდე ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად ითვლება. პოემის დასრულება ისე, როგორც მას წარმოედგინა, სამწუხაროდ, მარჯორიმ ვერ მოასწრო. მისი მონღომება, პასუხისმგებლობა, საყვარელი საქმისადმი დამოკიდებულება თითოეული მიმოწერიდან ჩანს.

და-ძმა უოლდროპები საქართველოს მეორე სამშობლოდ მიიჩნევიდა. უორდროპების სახელი ფართოდაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისთვის. დიდია

მათი დამსახურება, ღვაწლი საქართველოს ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. ოლივერი აგროვებდა მასალას საქართველოს შესახებ, იწერდა ქართულ ზღაპრებს, ანდაზებს, აგრეთვე ქართული ლეგენდების უცნობ ვარიანტებს მცინვარზე, თამარ მეფეზე, შოთა რუსთაველზე... ის ხვდებოდა ქართული ინტელიგენციის წარმომდგენლებს და თავის შთაბეჭდილებებს საგანგებოდ იწერდა. მათი როლი ძალიან დიდია, განუზომელი დასავლეთ ევროპაში საქართველოს ისტორიის, კულტურის, ქართული ენის წარმოჩინებისა და გაცნობის საქმეში.

მრავალმხრივია მათი ღვაწლი, ბევრ საკითხზე შეიძლება ყურადღება გავამახვილოთ მათ ნაშრომებში, ბევრ საინტერესოს წავაწყდით, თუმცა ვფიქრობთ, ჩვენს ნაშრომში ყურადღება გავამახვილოთ თარგმანთმცოდნეობით საკითხებზე ბრიტანული-ქართულ ურთიერთობებში და კონკრეტულად კი განვიხილოთ ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნის საკითხი და ამისათვის საილუსტრაციოდ გამოვიყენოთ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ტექსტი.

- რატომ მაინცდამაინც ფრაზეოლოგიზმები?

ფრაზეოლოგიზმები ხომ ენის განუმეორებელი, უნიკალური სიმდიდრეა, ისინი არამარტო მხატვრულად, ემოციურადაც გამოთქმის არაჩვეულებრივი საშუალებაა, მათში ასახულია ხალხის ისტორია, განცდები, ემოციები, გემოვნება, ავისა და კარგის გარჩევის გზები თუ შეხედულებები...

ფრაზეოლოგიზმები მრავალმხრივია, ისტორიული ხასიათის, რელიგიური წარმომავლობის, არის ანდაზები, აფორიზმები, გამოცანები, სიტყვა-თქმები, დალოცვის ფორმულები და ასე შემდეგ, ძალიან რთულია სწორად, თავისი ზუსტი მნიშვნელობითა და თავისებურებით მიაწოდო მკითხველს ნათარგმნი.

ფრაზეოლოგიური გამონათქვამები ძალიან ხშირად გამოიყენება მხატვრულ ნაწარმოებებში, რაც ნათქვამს ანიჭებს ხალისს, განსაკუთრებულობას, ემოციურობას, ფერადოვნებას და მშვენიერებას. მაგალითად ქართული პროზის შედეგები: „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“... სავსეა, შემკულია ფრაზეოლოგიური გამოთქმებით, თუ თარგმანში ფრაზეოლოგიზმები ზუსტად არ ან ვერ იქნება გადატანილი, რა თქმა უნდა, აზრს და მნიშვნელობას დაკარგავს უცხოელი მკითხველისათვის, ის ვერ მიხვდება რატომ ითვლება ეს ნაწარმოები მაღალმხატვრულ ნაშრომად. სამწუხაროდ, ასეთი ხარვეზები ბევრია, როგორც ქართულიდან უცხოურ, ასევე უცხო ენიდან ქართულად ნათარგმნ ლიტერატურაში.

ფრაზეოლოგიური გამონათქვამების გადატანა სხვა ენაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძნელია, საკმაოდ რთულიც, რადგან ხშირად იკარგება ის ეროვნული კოლორიტი, ემხი, რითაც ისინი ხასიათდებიან და ფასდებიან.

- რა თარგმანთმცოდნეობით ხერხებს იყენებენ მთარგმნელები?

ფრაზეოლოგიზმის თარგმნის ერთ-ერთი ხერხია სიტყვა-სიტყვით თარგმნა და კალკირება, ხატოვანი გამოთქმის კალკით გადაღების წესი დამკვიდრებულია. ეს ხერხი ჩამოყალიბდა საეკლესიო ლიტერატურის თარგმნის პროცესში, მას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. კარგია, რომ ამ გზით შემოსული სიტყვები და გამონათქვამები ხშირად სამუდამოდ რჩება ენაში და ამდიდრებს მის ლექსიკას, ტერმინოლოგიას, მაგრამ სიტყვა-სიტყვით ნათარგმნმა გამონათქვამმა შეიძლება შეავიწროვოს ან სულც განდევნოს ამ ენის საკუთარი გამოთქმა.

გამონათქმების კალკირება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთარგმნელ ენას არ გააჩნია დედანის შესაფერისი ხატოვანი გამოთქმა და ამავე დროს კალკი არ ეწინააღმდეგება ამ ენის ნორმებს. დროთა განმავლობაში, კალკირებული ფრაზეოლოგიზმი სხვადასხვანაირად ეგუება მსესხებელი ენის ნორმებს. ზოგი - საფუძვლიანად, „შინაურდება“ და საკუთარ სტატუსს ირგებს, ზოგი მალე იკარგება ან პასივში გადადის, ზოგი კი არქაიზმის ელფერს ვერ იცილებს და ამიტომ მისი სტილისტური შესაძებლობებიც შეძლულია.

- როგორ თარგმნიან უორდროპები ფრაზეოლოგიზმებს?

როგორც ვიცით, უორდროპებს ილია ჭავჭავაძის, საპროგრამო ნაწარმოები, „მგზავრის წერილებიც“ უთარგმნიათ. მის ნაწარმოებში ილია, როგორც ყველა თავის თხზულებაში, აქტიურად იყენებს ქართული ენისათვის დამახასიათებელ ხატოვან სიტყვა-გამოთქმებს, ისეთებს, როგორცაა: დალოცვის ფორმულები, ანდაზები, ფრაზეოლოგიზმები, ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრებული რუსთველისეული აფორიზმები.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ფრაზეოლოგიურ ერთეულს ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“ მათი უორდროპისეული თარგმანებითურთ.

დალოცვის ფორმულები:

- „მადლობა ღმერთს“ – “Thank God!”
- „თუ ღმერთი გწამს“ – “By your troth”.
- „გწყალობნოსთ ცოცხალთა - შეგინდონსთ მკვდართა“
- “May God be merciful to you while living and pardon you when dead!”
- „ღვთის წყალობა შენ გქონდეს“ – “You may be well assured that...”
- „დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი“.
- “Thank God for the desperate, mad, furious, obstinate, disobedient muddy Terek”.

ანდაზები:

- „საცა მისულხარ , იქაური ქუდიც დაგიხურავს”.
“like some men, wherever thou goest thou donnest the hat of the country”.
- „უხმარ სატევარს ჟანგი დაედების”.
“Rust eats an unused dagger”.
- „ზაასი ჭკუის საზრდოა”
“Discourse is the mind’s food”.
- „ცა ქვეყნად მაქვს და დედამიწა ქალამნადო”.- “The heavens are my head-dress and the earth my slippers”.

რლიგიური წარმომავლობის ფრაზეოლოგიზმი:

- „ბეწვის ხიდი” - “The hair-like bridge”

ისტორიული წარმომავლობის ფრაზეოლოგიზმი:

- „თითქო ან როზგქვემ არის გატარებული ან დიდი ჩინი მიუღიაო”.
- “as if it dwelt under the rod or had received a high official post”.

გამოთქმები:

- “იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძლო”.
“I decided to stay the night that **my eyes might open on the lovely view**”.
- “ჩემი ქვეყნის სიომ დამკრა”.
“**The breeze** of my native land **began to blow on me**”.
- “გულმა სულ სხვაგვარად დამიწყო ფეთქვა”.
- “My heart began to beat in another way”.
- “ერთი მუჭის ოდენა”.
“The size of a man’s hand”.
- “მის შუბლზე ერთ ძარღვსაც არ აატოკებს”.
“The world’s ill or weal makes not even a nerve in his lofty brow twitch”.
- “თავი ფიქრებს მივეცი”.
“...And gave myself up to thought”.
- “ტახტზედ მამა-პაპურად გავიშოტე”.
“...Now, reclining like a grandfather on the couch”.
- “იქნება მიმიღოს კიდევ და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე კი შევძლებ, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა“

“It may be, though, she will receive me as her son, clasp me to her heart, and **eagerly listen to me**. But am I indeed able **to speak her very speech**”

- “გონებას ვადევნებ”
“I make my keen mind follow the mind”
- “ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდან დადებულია”
“**The foundation of the earth’s happiness is placed at the base**”

აფორიზმი:

- “ჰე, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა“ .
“Oh, fortune in what dost thou consist, why dost thou turn us about, what instinct afflicts thee?”

რა უნდა გაითვალისწინოს მთარგმნელმა ფრაზეოლოგიზმების თარგმნისას?

მთარგმნელისთვის გასათვალისწინებელია, რომ ფრაზეოლოგიზმის ხმარებისას მკითხველი მის საერთო მნიშვნელობას ეყრდნობა და ნაკლებად ფიქრობს, ან სულაც არ ფიქრობს გამოთქმაში შემავალი ცალკეული სიტყვების მნიშვნელობაზე. ფრაზეოლოგიზმის, როგორც საერთო სიტყვის მნიშვნელობა კონკრეტდება ტექსტში, სხვა სიტყვათა გარემოცვაში, ეს ჩვეულებრივი ამბავია და მთარგმნელმა სწორედ ამ გარემოებას უნდა გაუწიოს ანგარიში.

და ბოლოს, ფრაზეოლოგიური გამოთქმა ტექსტის უნიკალური, განუმეორებელი საშუალებაა, მისი დაკარგვა ან დამახინჯება თარგმანში იოლია, შენარჩუნება კი ძნელი, ცოდნა და გემოვნებაა საჭირო, თარგმანის აკვარგიანობის შეფასება უნდა ხდებოდეს არამხოლოდ სუბიექტური „მომწონს“- „არ მომწონს“ პრინციპით, არამედ ენის სიმდიდრის გათვალისწინებით, მისი კანონებისა და სტილისტიკის ღრმა ცოდნითა და დახვეწილი გემოვნებით. მხატვრული ნაწარმოები ობიექტური რეალობაა და ამიტომ მისი შეფასების ობიექტური კანონებიც არსებობს, ამ კანონების ცოდნა აუცილებელია.

¶ როგორც ვიცით, მარჯორი საკმაოდ დიდ დროს უთმობდა თითოეული სიტყვის გამოკვლევასა და შესწავლას, მისი დღიურებიდან, ჩანაწერებიდან და წერილებიდან ირკვევა, რომ იგი ადგენდა და ადარებდა სიტყვების, როგორც ძველ, ასევე ახალ მნიშვნელობებს, ცდილობდა ეპოვა შესაბამისი ინგლისური ანალოგი.

ცხადია, ასეთი პროფესიონალი მთარგმნელის ხელში ქართული ლიტერატურის შედევრებიც თავს „იმედიანად გრძნობდნენ“, მითუმეტეს, რომ ილია ამ მთარგმნელობითი საქმიანობის უშუალო მონაწილე გახლდათ.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ქართულ-ბრიტანული ურთიერთობების განვითარების საქმეში ყველაზე დიდი წვლილი სწორედამ ამ შესანიშნავ ლიტერატურულ თარგმანებს მიუძღვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. [რესურსი კონკურსისთვის ილია და უორდროპები.docx](#)
2. [რესურსი საკონკურსოდ-ილია-და-ინგლისი.docx](#)
3. [რესურსი Wardrops and G უორდროპები და საქართვე...](#)
4. [რესურსი ბრიტანეთი ხელნაწერებში ხელნაწერები გ...](#)
5. [რესურსი ვეფხისტყაოსანი და უორდროპები.pdf](#)
6. [რესურსი ბაირონის ხელნაწერები.docx](#)
7. [რესურსი ბექა კობახიძე ოლივერ უორდროპი ყველაზე...](#)
8. [რესურსი ისტორია გიორგი მილორდის ანგლიელისა.docx](#)
9. [რესურსი ნარკვევი - საქართველოს დემოკრატიული ...](#)
10. თსუ-ს გამომცემლობა, სლავისტიკის ცენტრი, თარგმანის ლექსიკონი, თბ. 2001წ.
11. წიბახაშვილი გ., თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თბ., 2000წ.
12. ილია ჭავჭავაძე, მოთხრობები. რჩეული წიგნი II, თბილისი 1974წ.
13. ლარცულიანი ნინო, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომები „მერმისი“, 2013წ.
14. [www. Translation theory and practice.ge](http://www.Translationtheoryandpractice.ge);
15. <http://iberiana.wordpress.com/about/i-chavchavadze/notes-of-a-journey/>

ქალაქი რუსთავი

სსიპ - ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლა

გუნდი „ გოთუელები “

ხელმძღვანელი პედაგოგი - თამარ მარგიანი

სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია: rustavi17@mes.gov.ge ; 0341 277400; 577211441;